



დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მასობრივი კომუნიკაცია

Mass Communication

ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი

Business-Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

თემურ ჯაგოდნიშვილი - სრული პროფესორი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალური მეცნიერებების დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში
 (Doctor of Social Sciences in Masscommunication)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

მასობრივი კომუნიკაციის პროფესიონალი სპეციალისტის მომზადება. გლობალიზაციის ეპოქაში უსაზღვროდ იზრდება ინფორმირებულობის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ყოფის ნებისმიერ სფეროში. ინფორმაციის წარმოების, გავრცელების საშუალება მასობრივი კომუნიკაციაა, რადგან კომუნიკაციის პროცესს უშუალო მიმართება აქვს სოციალურ ქცევასთან და არსებითად ზემოქმედებს სოციუმის ფუნქციონირებაზე. ამის გამო მასობრივი კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური წესრიგის შექმნასა და ცვლაში.

პროგრამის მიზანია დოქტორანტისათვის მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციების გაცნობიერება-გათავისება და პროფესიულ მოღვაწეობაში შემოქმედებითად გამოყენება.

რაკიდა ინფორმაციის წარმოება და ინფორმაციული ქსელებით (და საშუალებებით) გავრცელება ადამიანების, როგორც მასის წევრების, ურთიერთობის საშუალებაა და არსებითად ზემოქმედებს სოციუმის ცნობიერებაზე, ამდენად, მასობრივი კომუნიკაცია ღირებული ინფორმაციის მიწოდებით

ასახავს, ამოღებებს სინამდვილეს (მოვლენებს, ფაქტებს, სოციალურ ურთიერთობებს).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სოციალური მეცნიერებების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას მხედველობაში მიიღება:

- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები და ა.შ.).

დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერტიფიკატის წარდგენისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის კურსი გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE-ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org)

ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო)

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისო სამუშაო და გაიაროს არაკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით ტურიზმში.

საუბარი: სწავლისას, ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე, თუმცა გარკვეული სირთულეებით. მას

შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში, თუმცა ისევ და ისევ გარკვეული სირთულეებით.

წერა: ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე, თუმცა დამატებითი დროის უქონლობის შემთხვევაში შეექმნება სირთულეები. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან, თუმცა შეიძლება გამორჩეს მთავარი საკითხები. მას შეუძლია დაწეროს ესეე, რომელშიც გადმოსცემს თავის აზრს, ან დაწეროს ექპერიმენტისა ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითად შინაარსი.

კითხვა: მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გემოვნებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას. მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი, თუმცა ინფორმაციის ბუნდოვნად გამოხატვის შემთხვევაში არასწორად გაგებაა მოსალოდნელი. ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არააკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება. ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დაძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას. მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ დასძლიოს აკადემიური კურსი.

მოსმენა: სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა

ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობა

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა წარმოებს წელიწადში ერთხელ, სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

- სოციალურ, საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროების თანამედროვე თეორიების, მიმდინარეობების, ტენდენციების ფართო ცოდნა და პროფესიული სფეროს პრობლემის გადასაწყვეტად გამოყენების გაცნობიერება;
- ექნება სფეროს ღრმა, სისტემური თეორიული ცოდნა, რაც მისცემს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;
- შეეძლება თანამედროვე საინფორმაციო სივრცის თავისებურებების ინფორმაციის ძიების, ფორმატირების, გავრცელების პროცესების ღრმა, დონეებრივი ანალიზის გაცნობიერება.
- ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და ინფორმაციისა და კომუნიკაციის უახლესი თეორიებისა და ტენდენციებისა;
- ექნება მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოება-გაღრმავებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტების დონეზე; შეეძლება მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობაში არსებული ცოდნის გადაფასების საფუძველზე მიღებული ცოდნის განახლებული ფარგლების, სიღრმეებისა და დონეების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- სოციალურ, საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროების თანამედროვე კვლევების შედეგების მიზნობრივი გამოყენება მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობის პრობლემების კვლევებში;
- მასობრივი კომუნიკაციის, როგორც პროფესიული საქმიანობის ფართო ცოდნის გამოყენება მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობითი პრობლემის კვლევებში;
- თანამედროვე საინფორმაციო სივრცის სპეციფიკის სიღრმისეული, დონეებრივი თავჩენების ცოდნის მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობითი პრობლემების კვლევებში გამოყენება.
- მასობრივი კომუნიკაციის სფეროს პრობლემების ღრმა, პროფესიული ცოდნის საფუძველზე ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება, ზედამხედველობა;
- ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;
- ინოვაციური ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი შედეგების მოპოვება და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა.

დასკვნის უნარი

- მასობრივი კომუნიკაციის მომიჯნავე და მონათესავე მეცნიერული დარგების ფართო ცოდნის მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობის პრობლემების კვლევებში გამოყენების მიზანშეწონილობაზე დასკვნის გაკეთება;
- მასობრივი კომუნიკაციის სფეროს თანამედროვე ტენდენციების ღრმა ცოდნის, მისი სპეციფიკის გაცნობიერების საფუძველზე, მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობის მიზნობრივ კვლევებში გამოყენებაზე დასკვნის გამოტანა;
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის თანამედროვე მიმდინარეობის, ტენდენციების მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობის პრობლემების კვლევებში გამოყენების მიზანშეწონილობის გარკვევა.
- მასობრივი კომუნიკაციის მცოდნეობის პრობლემური სფეროს რთული და არასასურველი ინფორმაციის, მათ შორის უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- მასობრივი კომუნიკაციის სფეროს პრობლემური არეალის კვლევებისადმი ახალი მიდგომების შემუშავების საჭიროებაზე დასკვნის გამოტანა;

- მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობის მიზნობრივი პრობლემის კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად მეცნიერულ პერიოდიკაში პუბლიცირების მიზანშეწონილობის დადგენა.

კომუნიკაციის უნარი

- მშობლირ და უცხო ენებზე ვერბალური კომუნიკაცია;
- პროფესიულ და არაპროფესიულ გარემოსი ინფორმაციის გადაცემა ქართულ და უცხო ენებზე;
- მიზნობრივი კომპლექსური საკითხების ფორმატირება და საჯარო გამოსვლების წარმართვა.
- მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობითი მოსაზრების, პრობლემის ლაკონურად, მკაფიოდ, გრამატიკული სტილისტიკის ნორმათა ადეკვატურად ვერბალიზება;
- მეცნიერული ფუნქციური სტილის მიზნობრივი გამოყენება მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობით კვლევებში;
- მიზნობრივი ტექსტის შექმნა, მათ შორის ანგარიშის მომზადება მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობის იდეების, პრობლემები სპეციფიკისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ;
- აუდიტორიის ინტერესთა შესაბამისი ტექსტების პრეზენტაციებისა და ტექსტური ინფორმაციების მომზადება.

სწავლის უნარი

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და დამოუკიდებლად წარმართვა;
- შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობის წარმართვა;
- დასახული მიზნების მისაღწევად საკვლევი პრობლემის მთავი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფა და მათი გადაწყვეტისათვის ახალი ცოდნის დაგროვების მიზანშეწონილობის განსაზღვრა
- მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების, ტენდენციების განვითარებისათვის ახალი ცოდნის დაგროვების საჭიროების გაცნობიერებალ
- პროფესიულ საქმიანობაში, მათ შორის კვლევით პროცესში ახალი ცოდნის დაგროვების მნიშვნელობის გააზრება და დაგეგმვა;
- მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობის ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთაზისა და სეფასებისათვის ახალი მეთოდოლოგიის შესამუშავებლად ახალი ცოდნის დაგროვების საჭიროების გაცნობიერება.

ღირებულებები

- მეცნიერული კვლევების, როგორც ინტელექტუალური მოღვაწეობის სფეროთა, ღირებულებების აღიარება;
- მეცნიერული პროფესიული ეთიკის ნორმატიული აქტების, მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნა და გათავისება;
- შეუწყნერბლობა პლაგიატის, მეციერული წყროების ხელყოფის, მკვლევართა პიროვნების შეურაცხყოფის გამოვლენისადმი.
- მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობის ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და საამისოდ ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
- მასობრივი კომუნიკაციის შემოქმედებითი საქმიანობის სფეროს პროფესიული ეთიკის ნორმათა დადგენაში მონაწილეობა;
- მასობრივი კომუნიკაციის სფეროს პროფესიული ღირებულებების პროპაგანდა და მათი სრულყოფის მიზნით წარმართულ კვლევებში მონაწილეობა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები

ლექცია პრაქტიკული სემინარი სამეცნიერო-თემატური სემინარი დამოუკიდებელი მუშაობა კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (**learning**) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთხაზულ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლების ძირითადი ფორმები:

- ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები;
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- საკურსო სამუშაო/პროექტი;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი;
- კონსულტაცია.

• **ლექცია** შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, ნახაზები, ცდები და სხვა თვალსაჩინოებანი უნდა ემსახურებოდეს ლექციის იდეის ახსნას.

ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის სწორი ანალიზი და უნდა აიგოს კონკრეტულ გარემოში სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის, ძირითად მეცნიერულ პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე ორიენტირებით.

ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ლექციის ძირითადი დანიშნულებიდან გამომდინარე, მისი წაკითხვის უფლება უნდა ენიჭებოდეს მხოლოდ გამოცდილ პედაგოგებს, ვინაიდან მათი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და პედაგოგიური ოსტატობა ლექციის მაღალ დონეზე ჩატარების გარანტიაა. ლექციის მეთოდური საკითხების დამუშავების დროს პედაგოგი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მასალის გადაცემის თანმიმდევრობაზე, ლექციის სტილზე, აუდიტორიასთან კავშირზე. ლექცია უნდა მიმდინარეობდეს სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით, მეთოდურ საშუალებათა და თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით.

თეორიული მასალა, რომელიც ლექციაზე გადაიცემა, კარგად აღიქმება სემინარებით, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით.

სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის ან სემინარის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი

მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას.

- ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა. პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, ნახაზების, ესკიზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. იგი აწვითარებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, შესწავლილი საგნისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად, საკურსო სამუშაო/პროექტი შემოქმედებითი პროცესია. ყოველი ახალი ნაგებობა, მანქანა, ინსტრუმენტი, ავტომატური მოწყობილობა და სხვა პროექტის მიხედვით იქმნება. დაპროექტების პროცესი თეორიისა და პრაქტიკის შეხამებაა. სწავლების პერიოდში სტუდენტი ასრულებს გრაფიკულ მოცემულობებსა და საკურსო პროექტებს, რომლებიც, ფაქტობრივად, სტუდენტის პირველი დამოუკიდებელი სამუშაოა, თუმცა პედაგოგის ხელმძღვანელობით ხორციელდება. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ცალკეული საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ საწარმოო ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს გამოცდილი პედაგოგი. კონსულტაციები სტუდენტს ხელს უნდა უწყობდეს პედაგოგის დახმარებით დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას. სწავლებისა და სწავლის მეთოდები სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

- **დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია.** დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უფითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს. 3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

- **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით

ხორციელდება.

- **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ

შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

- **როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

- **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

- **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.**

- **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

- **ლაბორატორიული მეთოდი** გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

- **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა,

საველე მუშაობა და სხვ.

- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს

მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

- **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

- **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზაცია ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

- **დასწრებული**, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;

- **დისტანციური** სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს;

- **ჰიბრიდული** (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

აღმატება;

- კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღმატება;
- საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სილაბუსებში და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესში, იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

http://www.gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf

დასაქმების სფერო

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, პრესცენტრები, საინფორმაციო სააგენტოები. კვლევითი მუშაობა მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობის სფეროში პედაგოგიური მოღვაწეობა. მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში პედაგოგიური მონაწილეობა.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
			20	10	15	15			
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები	20	10	15	15			60
1.	ACAWR 07-L	აკადემიური წერა	5						
2	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	5						
3	-	პროფესორის ასისტენტობა		5					
4	MOGEJ07-L	თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა	5						
5	BTACM07-L	მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები		5					
6	-	პირველი თემატური სემინარი			15				
7	-	მეორე თემატური სემინარი				15			
		სასწავლო კომპონენტების არჩევითი ელემენტები	5						
8	PRLIT07-L	საზოგადოებასთან ურთიერთობის ჟურნალისტიკის მცოდნეობითი ასპექტები							
9	GLPRO007-L	გლობალიზაციის პროცესი							
10	MANCO07-L	მასკომუნიკაციის მენეჯმენტი							
		კვლევითი კომპონენტი	10	20	15	15	30	30	120
1	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	10						
2.	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2		20					
3.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 1			15				
4.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 2				15			
5.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 3					30		
6.	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა						30	
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	30	30	180
		სასწავლო წელს	60		60		60		180

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები						
1	ACAWR 07- L	აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
2	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	X	X	X			X
3	-	პროფესორის ასისტენტობა	X	X		X		X
4	MOGEJ07-L	თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა	X	X	X	X		X
5	BTACM07-L	მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები	X	X	X	X	X	X
6	-	პირველი თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
7	-	მეორე თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
		სასწავლო კომპონენტების არჩევითი ელემენტები						
8	PRLIT07-L	საზოგადოებასთან ურთიერთობის ჟურნალისტიკის მცოდნეობითი ასპექტები	X	X	X	X		X
9	GLPRO007-L	გლობალიზაციის პროცესი	X	X	X	X	X	X
10	MANCO07-L	მასკომუნიკაციის მენეჯმენტი	X	X	X			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საათები		ECTS	ლექცია	სემინარი (მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	დამოუკიდებელი მუშაობა
		საგანი	\ საათი						
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები							
1.	ACAWR 07- L	აკადემიური წერა		5/135	45				90
2.	TMS0007-L	სწავლების მეთოდები		5/135	45				90
4.	MOGEJ07-L	თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა		5/135	45				90
5.	BTACM07-L	მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები		5/135	45				90
		სასწავლო კომპონენტების არჩევითი ელემენტები							
8	PRLIT07-L	საზოგადოებასთან ურთიერთობის ჟურნალისტიკის მცოდნეობითი ასპექტები		5/135	45				90
	GLPRO007-L	გლობალიზაციის პროცესი		5/135	45				90
	MANCO07-L	მასკომუნიკაციის მენეჯმენტი		5/135	45				90

პროგრამის ხელმძღვანელი

თემურ ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ფაკულტეტის დეკანი

ივანე ჯაგოდნიშვილი

რუსუდან ქუთათელაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგი
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
25 სექტემბერი 2012 წ.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური

პროგრამის ხელმძღვანელის
Curriculum Vitae



პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი:	თემურ ჯაგოდნიშვილი
დაბადების თარიღი:	17 თებერვალი, 1949 წელი
დაბადების ადგილი:	საგარეჯოს რ-ნი, სოფ. ხაშმი
მისამართი :	თბილისი, ფანასკერტელის ქ. 15ა, ბ. 49
ტელეფონი:	2 36-04-07, 577 43 22 52
ელ.ფოსტა:	t.jagodnishvili@gtu.ge

პროფესიული მოღვაწეობა

სამეც. / აკად. ხარისხი:	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
დაწესებულების მისამართი:	თბილისი, კოსტავას ქ. №77
თანამდებობა :	სრული პროფესორი

განათლება

ჩარიცხვის და დამთავრების წლები	1968-1973 წწ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი
	1976 წ. - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;
	1988 წ. - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, (ΦA №001372);
	1991 წლიდან პროფესორი, (IIP №007348).

სამუშაო გამოცდილება

1973-1977 წწ.	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, პრეზიდენტის თანაშემწე;
1977-1981 წწ.	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, სწავლული მდივანი ასპირანტურის დარგში;
1981-1988 წწ.	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ენისა და ლიტერატურის განყოფილების სწავლული მდივანი;

1988-1990 წწ.	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თამაშრომელი;
1990-1992 წწ.	სტუ ქართული ენის კათედრის პროფესორი
1999-2003 წწ.	სტუ ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის მაგისტრატურის ხელმძღვანელი;
1993-1998 წწ.	სტუ ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ჰუმანიტარული განათლების, სამეცნიერო მუშაობის დარგებში;
1992-2006 წწ.	სტუ ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრი გამგე;
2004-2006 წწ.	სტუ ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი, ქართული ენისა და მედიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
2006 წ. დღემდე	სტუ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი

მეცნიერული მიღწევები

	25 წიგნი, მათ შორის:
მონოგრაფია	5
სახელმძღვანელო	7
სტატიები	100-ზე მეტი
კონფერენციები	15 (9 საერთაშორისო)
გამოგონებები	
გრანტები	2

მეცნიერული მოღვაწეობის დაწვრილებით გაცნობა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:
<http://gtu.ge/mecniereba2011>

ენების ცოდნა

რუსული		თავისუფლად
გერმანული		ლექსიკონის დახმარებით
ინგლისური		ლექსიკონის დახმარებით

პედაგოგიური საქმიანობა

სასწავლო კურსის დასახელება	რუსული ფოლკლორი (თსუ); ქართული მეტყველების კულტურა (სპი); ქართული ფოლკლორი (სტუ); ქართული ლიტერატურის ისტორია (სტუ); ასევე უნივერსიტეტი "ლეგია და კომპანია"; პრესა და თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები (სტუ) პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიცია (სტუ); ენა და კულტურა; გლობალიზაცია და ეროვნული თვითმყოფადობა (მაგისტრატურა); ჟურნალისტიკის სოციოლოგია (სტუ, მაგისტრატურა);
----------------------------	---

აკადემიური წერა (სეუ, ბაკალავრიატი)
ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (გრ. ფერაძის
უნივერსიტეტი; "სასწავლო უნივერსიტეტი სეუ")

ინტერესის სფერო

სამეცნიერო სფეროს დასახელება ფილოლოგია, კომუნიკატივისტიკა,
მასკომუნიკაცია.

დამსახურებები, ჯილდოები, სერტიფიკატები

სერტიფიკატები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული
განვითარების ცენტრი აიოვას სახელმწიფო
უნივერსიტეტი (აშშ)
თრენინგი: "სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების
ზოგადი კურსი", 2010 წელი.

ევროსაბჭო, სარაევოს მედიაცენტრი, გაერო (Empowered
lives. Resilient nations)
თრენინგი:
"ახალი ამბების გამუქება"
14-16 იანვარი, 2012 წელი

დამსახურებები

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) – 2000წ.

საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის
ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) – 2011 წ.

საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი - 2012წ.

ჰობი

კითხვა, მოგზაურობა,

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

1	თემურ ჯაგოდნიშვილი	სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი)
2	ნოდარ ტაბიძე	სრული პროფესორი
3	ბორის იმნაძე	სრული პროფესორი
4	გიგლა გობეჩია	ასოცირებული პროფესორი